

დადგენილება

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N18 დადგენილებით (www.matsne.gov.ge 28/12/2024, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.114.016525) დამტკიცებულ წესში და წესის:

ა) მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 13. სოციალურად დაუცველი 0-დან 150 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წელზე მეტი ასაკის პირების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა (უფლებამოსილმა პირმა) მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა);

დ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ე) სამედიცინო დაწესებულების /აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული კალკულაცია/ანგარიშ-ფაქტურა/ინვოისი.

2. ბენეფიციარის მედიკამენტის შესაძენი თანხა განისაზღვროს არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.

3. ბენეფიციარის სამედიცინო მომსახურების გადასახდელი თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, 1001 (ათას ერთი) ლარზე მეტი კი 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 900 (ცხრაასი) ლარით.

4. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული ბენეფიციარის გადასახდელი სამედიცინო მომსახურების თანხა არ აღემატება 200 ლარს, არ ანაზღაურდება.

5. თანხა ჩაერიცხოს მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას/აფთიაქს საბანკო რეკვიზიტებზე, წარმოდგენილი დოკუმენტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.“.

ბ) მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 18. სოციალურად დაუცველი 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება

1. დახმარების მისაღებად ბავშვის მშობელმა ან კანონიერმა წარმომადგენელმა მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი განცხადება;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) 0-დან 18 წლამდე ასაკის პირის დაბადების ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

დ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ;

ე) ცნობა სამედიცინო/სააფთიაქო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) და ანგარიშ-ფაქტურა.

2. ბენეფიციარის გადასახდელი სამედიცინო მომსახურების თანხა 1000 (ათასი) ლარის ჩათვლით ანაზღაურდება არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარით, 1001 (ათას ერთი) ლარზე მეტი კი 60%-ით, მაგრამ არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარით.

3. ბენეფიციარის მედიკამენტის შესაძენი თანხა განისაზღვროს არაუმეტეს 100 (ასი) ლარის ოდენობით, რომელიც გაიცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთხელ.

4. თანხა ჩაირიცხოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო რეკვიზიტებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე.“.

გ) 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 26. მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური და კომპიუტერული გამოკვლევების (კორონოგრაფია, ანგიოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია და სხვა) დაფინანსება.

1. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ არემატება 150 000-ს ერთეულს.

2. ქვეპროგრამის მოსარგებლის სამედიცინო მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 300 (სამასი) ლარით, გარდა გულის და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის.
3. გულისა და/ან კორონალური არტერიების ანგიოგრაფიის მომსახურების ხარჯი განისაზღვროს არაუმეტეს 800 (რვა ასი) ლარით.
4. დახმარების მისაღებად განმცხადებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
 - ა) წერილობითი განცხადება;
 - ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - გ) სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N IV-100/ა, ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი) სამედიცინო მომსახურების შესახებ;
 - დ) ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულის შესახებ.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება მხოლოდ შშმ პირებზე.
6. თანხა ჩაერიცხება მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას საბანკო რეკვიზიტზე მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (ბრძანება) საფუძველზე.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.